

პროექტ „WASH“-ით გათვალისწინებული საქმიანობა დასასრულს უახლოვდება

ფონდ „აფხაზინტეარქონტის“ მიერ განხორციელებული და გაეროს ბავშვთა ფონდ UNICEF-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „დევილთა თემების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება დასავლეთ საქართველოში“, რომელიც მრავალ კომპონენტს მოიცავდა, დასასრულს მიუახლოვდა.

პროექტის მიზანი იყო დასავლეთ საქართველოში კოლექტიურ ცენტრებსა და მასპინძელ ოჯახებში განსახლებული ზემო აფხაზეთიდან და ცხინვალის ადგილობრივი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის და საერთო კეთილდღეობის ამაღლება კოლექტიურ ცენტრებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებით, წყალმომარაგებისა და სანიტარული პირობების პროფილაქტიკით.

პროექტი ასევე ითვალისწინებდა იგპ-თა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, კოლექტიურ ცენტრებში სანიტარულ-ტექნიკური მოწყო-

ბილობების აღდგენას, სასმელი წყლის შენახვის საშუალებების და ჰიგიენური ნაკრებების დარიგებას.

პროექტმა მოიცვა დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონი: იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა და ხელი შეუწყო მოსახლეობის გათვითცნობიერებას ჰიგიენური წესების, წყლის რაციონალურად გამოყენების საკითხებში. ჩატარდა მრავალი საინფორმაციო ტრენინგ-სემინარი აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. დევნილთა თემებში დარიგდა საგანგებოდ გამოცემული ბუკლეტები, პლაკატები, ბროშურები, „აფხაზინტეარქონტის“ მიერ გამოცემული ბიულეტენი „ზრუნვას“ თემატიკისადმი მიძღვნილი ნომრები და სხვა ხასიათის საცნობარო მასალა. იქვე შეიქმნა წყლისა და სანიტარული კომიტეტები.

პროექტის ფარგლებში მომსახურება გაენიჭა 3060-მდე ბენეფიციარს (990-მდე ოჯახი).

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმ კომპონენტზე, რომელიც კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. ამ მიმართულებით განხორციელდა არაერთი მიკროპროექტი, რომლებმაც ხელი შეუწყო დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული წყალმომარაგების სისტემებისა და საკანალიზაციო ქსელის აღდგენა-მოწესრიგებას, რის შედეგადაც სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა გაუმჯობესდა უამრავ ადამიანს. გინდა თქვენი ყურადღება იმ მიკროპროექტებს მივაპყროთ, რომელთა განხორციელებამ რეალური ეფექტი მოგვცა და გამოასწორა ადგილებზე არსებული კატასტროფული მდგომარეობა.

შუთაისის აპროპორტის ადმინისტრაციულ შენობაში ცხოვრობს კოდორის ხეობიდან დევნილი 17 ოჯახი (48 ადამიანი). ცენტრი მდებარეობს ქ. ქუთაისში, მშენებლის №41. რამდენადაც წყალი ქსელში მოდის გრაფიკით, ორ ან სამ დღეში ერთხელ, აეროპორტის ადმინისტრაციული შენობის დევნილთა კომუნალური ცენტრის მცხოვრებნი განიცდიდნენ წყლის დეფიციტს. მათი თხოვნით შენობის სახურავზე დაეგმო 5 ტონის მოცულობის ლითონის წყლის ახალი ავზი. ქსელში წყლის დაბალი წნევის გამო დაიდგა ელტუმბოც, რომელიც შეუერთდა როგორც ქალაქის წყლის მთავარ მაგისტრალს, ასევე გვერდით მდებარე დევნილთა კომუნალურ ცენტრში არსებულ 60-ტონიან წყლის ავზს, რომელიც მარაგდება არტეზიული წყლის წყლით. ამ ავზს, დამატებით ქალაქის წყლის ქსელიდან, გაუკეთდა სარეზერვუო შესავსები ალტერნატიული წერტილი.

დამონტაჟდა ახალი წყლის პლასტმასის 96 მეტრი მილი და ინდივიდუალურად ყველა ოჯახმა ახალი ავზიდან მომავალი წყალი მიიღო.

შუთაისის ავტოსკოლა მდებარეობს ნიკვას გამზირზე, №15-ში. აქ ცხოვრობს 11 ოჯახი (21 დევნილი) კოდორის ხეობიდან. რადგან ეს შენობა სასწავლო ტიპის, კორიდორულია, ოჯახები საკლასო ოთახებში განათავსდნენ, სადაც სველი წერტილები არ არსებობს, არც არანაირი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ამიტომ მათ ითხოვეს გაგვეკეთებინა კორიდორში ერთი ოთახი, რომელსაც გამოიყენებდნენ საერთო სამრეცხაოდ და სამზარეულოდ. დერეფანში გაკეთდა ხის 6 კვ მეტრი ტიხარი, რომელიც ორმხრივად შეიმოსა ზოლოვანი პლასტიკით და იზოლირებულად გამოვიდა 11 კვ მეტრი ოთახი. ჩაისვა მეტალპლასტმასის კარი, მოსწორდა იატაკი ბეტონის ხსნარით, დაიგო ლინოლეუმი, დამონტაჟდა წყლის ნიჟარა. გაყვანილია წყლისა და კანალიზაციის მაგისტრალი, დაიდგა 1 ტონის მოცულობის წყლის ავზი.



№13 ბაბა-ბალი მდებარეობს ქ. ქუთაისში, სოხუმის ქუჩა, 1 ჩიხი, №41-ში. აქ ცხოვრობს 9 ოჯახი (25 დევნილი). ამ კომუნალურ ცენტრში წყალმომარაგების სისტემა და საკანალიზაციო ქსელი მთლიანად მოშლილი იყო. დევნილები სასმელ წყალს მეზობლად არსებული ჭებიდან ეზიდებოდნენ. ცენტრში არსებობდა ძველი ამორტიზებული წყლის ორი ავზი, რომელიც ლითონის კომპლექსზე იყო შემოდგმული. ჩამოვიღეთ ამნეკრანის მეშვეობით, შევადლეთ და განვაახლეთ, გავლეთ, ერთი ისევე შემოვდგით კომპლექსზე, მეორეს კი ძირს, მიწაზე, მოვუწყვეთ სადგარი და დავამონტაჟეთ, მაგისტრალში წყლის დაბალი წნევის გამო დავდგით ორი ელტუმბო, გავიყვანეთ წყლისა და საკანალიზაციო 177 მეტრი პლასტმასის მილი, დავამონტაჟეთ ლითონის მოთუთიებული 6 ცალი ახალი წყლის ნიჟარა.




ზესტაფონის ფაროზანადგომთა ქარხნის საერთო საცხოვრებელი მდებარეობს ქ. ზესტაფონის კვალის დასახლებაში, მალაკელიძის ქუჩა №5-ი. ამ კომუნალურ ცენტრში ცხოვრობს 6 ოჯახი (24 დევნილი) ცხინვალის რეგიონიდან. საცხოვრებელ ფართებში სველი წერტილების არქონის გამო სარგებლობდნენ შენობის პირველი სართულის საერთო ტუალეტით. კანალიზაცია და წყლის სისტემა კი ფუნქციონერებდა, მაგრამ ქალაქის წყლის სისტემაში წყალი კვირაობით არ მოდის. ამის გამო გვთხოვეს სარეზერვუო წყლის ავზის დადგმა და სამრეცხაოს მოწყობა. შენობის გვერდით დაიდგა 4 მეტრი სიმაღლის ლითონის კომპლექსი, რაზეც დამონტაჟდა პლასტმასის 2-ტონიანი ახალი წყლის ავზი. დაიდგა ელტუმბო. სამრეცხაო ოთახში დაიდგა ლითონის მოთუთიებული წყლის 2 ნიჟარა, ორი ონკანით. გავიყვანეთ 43 მეტრი პლასტმასის ახალი წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო მილი.



ზესტაფონის ფაროზანადგომთა ქარხნის პროფტაქნიკური სასწავლო საერთო საცხოვრებელი მდებარეობს ქ. ზესტაფონის კვალის დასახლებაში, მალაკელიძის ქუჩა №11-ში. ამ კოლექტიურ ცენტრში ცხოვრობს ახალი დევნილი 3 ოჯახი (12 ადამიანი), ძველი დევნილი 25 ოჯახი (97 ადამიანი). შენობა 5-სართულიანია, სადაც ოჯახები საერთო ტუალეტებით სარგებლობდნენ. არსებული ფოლადის წყლის სისტემის მაგისტრალი კოროზიით დამწვარი, გაფუჭებული იყო და ხდებოდა სარდაფში წყლის ჩადინება. ასევე გაჭედული და მწყობრიდან გამოსული იყო საკანალიზაციო მაგისტრალი და საკანალიზაციო ჭები, საიდანაც ხდებოდა სარდაფში ფეკალის ჩადინება და გარეთ დაღვრა, რაც ეპიდემიის გამომწვევის საფრთხეს აძლიერებდა. სარდაფი სავსე იყო დაახლოებით 300 კუბური მეტრი ფეკალით. მცხოვრებლები სასმელ წყალს მეზობლად არსებული ჭებიდან ეზიდებოდნენ.

გატარებული იქნა შემდეგი ღონისძიებები: ხელით და ასინიზაციის მანქანის მეშვეობით განმუხტული იქნა 80 მეტრი საკანალიზაციო მილი, განმუხტული იქნა 3 საკანალიზაციო ჭა. საჭირო გახდა ნაწილი ახალი საკანალიზაციო 150 მმ 31 მეტრის და 50 მმ 52 მილის გამოცვლა, ამოშენდა ორი ახალი საკანალიზაციო ჭა, ჩამოსხმული იქნა ჭის ბეტონის თავები. გაიხსნა სარდაფის სადრენაჟე არხი, ფეკალურმა სითხემ თვითდინებით დაიწყო დაწრება და საბოლოოდ გაიწმინდა სარდაფი. გავიყვანეთ 49 მეტრი პლასტმასის ახალი წყლის მილი. მაგისტრალში დაბალი წნევის გამო დავდგით ელტუმბო და, ფაქტობრივად, რამდენიმე წლის შემდეგ პირველად, ყველა სართულზე ავიდა წყალი. დამონტაჟებული იქნა ახალი მოთუთიებული ფოლადის წყლის ნიჟარა ონკანით და სიფონით.



პროექტ „WASH“-ით გათვალისწინებული საქმიანობა დასასრულს უახლოვდება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტი“ ახორციელებს პროექტს „WASH“, რომლის მთავარი მიზანია საერთო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება დევნილთათვის დასავლეთ საქართველოში განლაგებულ კოლექტიური დასახლების ცენტრებში. პროექტის ძირითად სტრატეგიას წარმოადგენს წყლით გადამდები ინფექციებისა და მძიმე სანიტარულ პირობებთან დაკავშირებული დაავადებების პრევენცია დევნილებს შორის სწორი ჰიგიენური პრაქტიკის დანერგვით. იმპლემენტაციის პერიოდში, პროექტის მეთვალყურის შემსწავლად, მთავარი ყურადღება გამახვილებული იყო ბავშვებსა და ქალებზე, თუმცა, ფაქტობრივად, პროექტის ბენეფიციარს წარმოადგენდა აღნიშნულ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრებ დევნილთა მთელი კონტინგენტი.

პროექტის ფარგლებით გათვალისწინებული 12 ტრენინგიდან პირველი ჩატარდა სანიტარულ-ჰიგიენური კომიტეტების წევრებისათვის. თითოეულ კოლექტიურ ცენტრში მობილიზატორების დახმარებით არჩეულ იქნა 4-4 წევრისაგან შემდგარი კომიტეტები. ამ წევრთაგან 2 - კოორდინატორი და სანიტარულ-ჰიგიენური სწავლების პრომოუტერი. ესწრებოდნენ აღნიშნულ ტრენინგს. პროექტის კონსულტანტმა სამედიცინო საკითხებში მონაწილეებს მიანოდა დეტალური ინფორმაცია სანიტარულ-ჰიგიენური კომიტეტის ძირითად ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებზე, განუმარტა მათ ის ძირითადი საფრთხეები, რაც შეიძლება მოჰყვეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობას. კომიტეტის წევრებს მიენოდა რეკომენდაციები სველი ნერტილების სწორი მოვლისათვის მორიგების დაწესების მიზანშეწონილობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დიარეული დაავადებების პრევენციის გზებსა და ბავშვებისათვის სწორი ჰიგიენური ჩვევების სწავლებაზე. ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ ნაბეჭდი მასალა სანიტარულ-ჰიგიენური კომიტეტების ფუნქციების ჩამონათვლით, დეტალური ინფორმაციით დიარეული დაავადებების გავრცელების გზებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, ჩატარდა წინასწარი გამოკვლევა, რომელმაც გამოავლინა წყალთან, არასაკმარის ჰიგიენურ ცოდნასა და არასწორ პრაქტიკასთან დაკავშირებული დიარეული დაავადებების საკმაოდ მაღალი სიხშირე (თვეში საშუალოდ 7-8) ჩასახლების ცენტრებში. განსაკუთრებით ხშირი იყო აღნიშნული დაავადებები მცირეწლოვან ბავშვებში.

პროექტის საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 12 ტრენინგი. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ კოლექტიური ცენტრებში განსახლებულ დევნილებს: ქუთაისის „ავტოსკოლა“, სპორტსკოლა“, „კულინარიული სასწავლებელი“, „კოოპერაციული სასწავლებელი“, ბაგა-ბალი „აისი“, ნიკვას დასახლების ბაგა-ბალი



„მედეა“, აეროპორტის დასახლების საერთო საცხოვრებელი და ზესტაფონის ორი კოლექტიური ცენტრი.

როგორც ზრდასრული ასაკის დევნილებისათვის, ასევე დევნილი ბავშვებისათვის ჩატარებული ჰიგიენურ-სანიტარული სწავლების ძირითადი თემატიკა იდენტური იყო, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ინფორმაციის მიწოდების მეთოდოლოგია და მიდგომები.

საინფორმაციო ნაწილის ძირითად თემებს წარმოადგენდა:

1. წყლის სისუფთავე და მშრალი ნარჩენების გადაყრა (წყლის სხვადასხვა წყარო, სასმელი წყლის ტრანსპორტირება, შენახვა, ხარისხი და სისუფთავის დაცვა);
2. პირადი ჰიგიენა და საკვების ჰიგიენა (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ხელების დაბანის აუცილებლობაზე. მონაწილეებს განემარტათ, რატომ და როდის არის აუცილებელი ხელების დაბანა და რა საშუალება ემუქრება ჯანმრთელობას ხელების არასათანადო დაბანის შემთხვევაში);
3. წყლის დაბინძურებასთან და სანიტარული ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული დაავადებები (დიარეით მიმდინარე კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადებები, სარისკო ქცევები);
4. სანიტარული ნერტილების – ტუალეტების, საშხაპების, საშარეულოების მოვლა-დასუფთავება (მორიგეობის დანერგვა, სწორი მოვლისა და დასუფ-

თავების მონიტორინგი, ნორმალური სანიტარული მდგომარეობის შესანარჩუნებლად საჭირო წყლისა და სხვა მასალების მარაგის შექმნის აუცილებლობა).

ტრენინგების მონაწილეებს მიენოდათ მონაცემები ძირითადი სანიტარული ინდიკატორების შესახებ – როგორი უნდა იყოს წყლის ხელმისაწვდომი რაოდენობა ერთ სულზე, წყლის ხარისხი (კოლიბაქტერიების რაოდენობა 100 მლ წყალში), არასხსნადი მყარი ნივთიერებების შემცველობა, როგორი უნდა იყოს წყლის შესანახი ჭურჭელი, სად და როგორ უნდა ინახებოდეს სასმელი წყალი და სხვ.

ბავშვებისათვის განკუთვნილ სასწავლო შეხვედრებზე ინფორმაციის უკეთ გადასაცემად და აღსაქმელად გამოყენებული იყო გამოცანები, კროსვორდები, სახალისო სიტუაციური ამოცანები, ვიქტორინა, როლური თამაშები. ბავშვებს ეძლეოდათ დავალება ფერადი მარკერების გამოყენებით მოეხდინათ ძირითადი ჰიგიენური მესიჯების ილუსტრირება, რასაც ისინი სიამოვნებით ასრულებდნენ. ტრენინგებს ესწრებოდნენ 5-დან 16 წლამდე ბავშვები.

დევნილებს დაურიგდათ საკომუნიკაციო მასალები და UNICEF-ის მიერ მომზადებული საინფორმაციო ბიულეტენები, პოსტერები და ილუსტრირებული ბუკლეტები.

პროექტის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სანი-

ტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა კოლექტიურ ცენტრებში, ამაღლდა დევნილთა ცოდნა დიარეული დაავადებების პრევენციის გზების შესახებ. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი თავიანთი საცხოვრებლის სანიტარული სისუფთავის დაცვაში. კოლექტიურ ცენტრებში დაწესებულია მორიგეობა სველი ნერტილების მოვლაზე. მნიშვნელოვნად შემცირდა წყლით გადამდებ დაავადებათა სიხშირე. ბავშვებმა ძალიან კარგად იციან ძირითადი ჰიგიენური წესები, გაცნობიერებული აქვთ პირადი ჰიგიენის დაცვის აუცილებლობა და სწორი ჰიგიენური პრაქტიკის მნიშვნელობა საკუთარი ჯანმრთელობისათვის.

პროექტის იმპლემენტაციის ბოლო ეტაპზე დაგეგმილია ჩატარდეს მიღწეული შედეგების საბოლოო რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება-მონიტორინგი და მოხდეს სამომავლოდ აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება, რათა პროექტის დასრულების შემდეგ დევნილებმა შეძლონ დამოუკიდებლად იზრუნონ ამჟამინდელ საცხოვრებელ ცენტრებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებაზე და სწორი ჰიგიენური პრაქტიკით მოახერხონ თავიდან აცილონ მთელი რიგი ინფექციური დაავადებები.

ქაიო ნაშაძე, ექიმი-კონსულტანტი